ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 516

“20” ოქტომბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გლდანის მასივის IV მიკრო/რაიონში მდებარე შენობა №1-ის მე-2 სართულზე არსებული 469.73 კვ.მ. ფართიდან 286.78 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061.01.501) უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისთვის - „World Vision International -ის ფილიალი საქართველოში“ (ს/ნ. 203844251) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის IV მიკრორაიონში მდებარე შენობა №1-ის მე-2 სართულზე არსებული 469.73 კვ.მ. ფართიდან 286.78 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061.01.501) უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისთვის - „World Vision International -ის ფილიალი საქართველოში“ (ს/ნ. 203844251) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 4 ოქტომბრის №23.1508.1656 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, გლდანის მასივის IV მიკრო/რაიონში მდებარე შენობა №1-ის მე-2 სართულზე არსებული 469.73 კვ.მ. ფართიდან 286.78 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061.01.501) უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისთვის - „World Vision International -ის ფილიალი საქართველოში“ (ს/ნ. 203844251) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმებულად ჩაითვალოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებით წარმოდგენილი წინადადება სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 26 მარტის Q№1200279 გადაწყვეტილების და 2015 წლის 23 აგვისტოს №01-4/81 ბრძანების საფუძველზე გაფორმებული იჯარის ვადის გასვლის დღიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 4 ოქტომბრის №23.1508.1656 განკარგულების და ამ განკარგულების საფუძველზე უსასყიდლო უზუფრუქტის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული ორგანიზაციის მიერ ფართის

ფაქტობრივად სარგებლობისთვის შესაბამისი სარგებლობის საფასურის გადახდის მოთხოვნაზე უარის თქმის საკითხი.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე